ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 326

"12" ივლისი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა №27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდ; №01.18.03.044.017) 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვინეროსთვის" (ს/ნ. 405573062) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა №27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდ; №01.18.03.044.017) 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვინეროსთვის" (ს/ნ. 405573062) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 28 ივნისის N24.1119.1259 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა №27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდ; №01.18.03.044.017) 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვინეროსთვის" (ს/ნ. 405573062) .იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 300 (სამასი) ლარის ოდენობით.ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე